პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 30
(6841)

11 1981 წ.
თებერვალი,
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი სტარტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისთვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისთვის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად გამარჯვებულად ცნო საქართველოს სს რესპუბლიკა და იგი ზედიზედ მერვედ დააჯილდოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამ სასიხარულო ცნობამ სიამაყის გრძნობით აღავსო თითოეული ჩვენთაგანი.

პირდაპირ უნდა ითქვას: ახალ ხუთწლედს წითელი დროშით ვიწყებთ და ეს ფაქტი თავისთავად მრავლისმეტყველია.

ახალი ხუთწლედის პირველი წლის პირველი თვის შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჩვენმა საწარმოო კოლექტივებმა წინა ხუთწლედში აღებული რიტმი მნიშვნელოვნად გაზარდა.

1980 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება მშენებლობასა და მრეწველობაში — 3,5 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 2,8 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

ამ ფონზე სულ უფრო მატულობს მშრომელთა მასობრივი გაჯანსაღების მოთხოვნილება. როგორც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა — „დღეს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა მოითხოვს ადამიანებთან მუშაობის ისეთი მასობრივი ფორმების უფრო ეფექტიან გამოყენებას, როგორიც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა და სპორტია“.

აქვე ხაზგასმით ითქვა დიდ სპორტზეც, რადგან იგი საბჭოთა ხალხის ჰეროიკული შრომის, მისი პოტენციური შესაძლებლობის აშკარა გამოვლინებაა, რა გასაკვირია, რომ ხალხს, რომელსაც ციმბირის ურთულეს კლიმატურ პირობებში გაჰყავს საუკუნის მაგისტრალები, ითვისებს ჩრდილოეთის პოლარეთსა და თვით კოსმოსს, ჰყავდეს ოლიმპიური ჩემპიონები და მსოფლიო რეკორდსმენები. ამიტომაც — თითოეულ ჩვენთაგანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სიჭაბუკის, სიჯანსაღისა და სილამაზის დიდებულმა დღესასწაულმა — მოსკოვის XXII ოლიმპიურმა ასპარეზობამ.

სასიხარულოა, რომ საბჭოთა ოლიმპიელების წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმაც. მაგრამ უნდა ითქვას იმაზეც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონე და მასობრიობა ჯერ კიდევ ვერ გვაკმაყოფილებს. ჩანს. ამ მხრივ სერიოზულად უნდა გარდაიქმნას სპორტკომიტეტის, ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების მუშაობა. თვით პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმაც უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა“. — ითქვა იმავე ტრიბუნიდან.

ამ მხრივ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. წლის დასაწყისშივე ქართველმა სპორტსმენებმა რამდენიმე წარმატებას მიაღწიეს. სულ ახლახან დონის როსტოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საიუბილეო 50-ე ჩემპიონატი, რომლის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ ვერც ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ბლაგიძის გარდა, ვერ მოიპოვა ოქროს მედალი. მასთან ერთად გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მ. ხალაძე, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თ. ყაზარაშვილი და შ. მორჩილაძე. როსტოვის სტარტებს წინ უძღოდა თავისუფალ მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციული XX საერთაშორისო ტურნირი, სადაც გამარჯვება იზეიმა თბილისელმა სტუდენტმა გ. მაკასარაშვილმა, მსგავს ტურნირში წარმატებებს მიაღწიეს ძიუდოისტებმა რ. ხარშილაძემ, დ. ბოდაველმა, მ. ალბორაშვილმა. წელი კარგად დაიწყეს სხვა ჩვენმა სპორტსმენებმაც — მაგიდის ჩოგბურთელმა ს. სარხოიანმა, დინამოელმა კალათბურთელებმა... ყველაფერი ეს საწინდარია იმისა, რომ ქართველი სპორტსმენები პირნათლად დაამთავრებენ თავიანთ „ხუთწლედს“ — მომავალი ოლიმპიური თამაშების მზადების ოთხწლიან ციკლს და ახალი სახელებით შეავსებენ ლოს-ანჟელესის XXIII ოლიმპიადის გამარჯვებულთა რიგებს.

ორნი ნაკრებში

ცესისში გაიმართა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ციგაობაში. ყველაზე პატარების ტურნირში ბიჭებს შორის ორადგილიანებით დაშვებაში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს ბაკურიანის საშუალო სკოლის მერვეკლასელებმა ანზორ ჯიჭოევმა და გია გაგლოევმა. გოგონებში ასევე მეორე იყო მზია ჯიჭოევა.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ერთადგილიანებით ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა დავით ქუმარიტაშვილი, ხოლო თემო გაგლოევმა ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ამ დუეტმა ორადგილიანებით შეჯიბრებაც მოიგო.

აქვე ჩატარდა ტურნირი უფროსი ასაკის სპორტსმენებისთვის. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ასპარეზობაში ბაკურიანელმა სპორტსმენებმა თამაზ ქუმარიტაშვილმა და ქეთევან ჯეირანაშვილმა მეორე ადგილები დაისაკუთრეს, ხოლო ფელიქს ქუმარიტაშვილი მესამე პრიზიორი გახდა.

შემდეგ ცესისმა ახალგაზრდა სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე, დასკვნით ტურნირს უმასპინძლა. შესანიშნავად გამოვიდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები, „შრომითი რეზერვების“ გუნდის წევრები დავით ქუმარიტაშვილი და თემო გაგლოევი. ერთადგილიანებით დაშვებაში ქუმარიტაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, გაგლოევმა — ბრინჯაოსი. ამ დუეტმა ორადგილიანი ციგით ორი ეტაპის ჯამში III ადგილი დაიკავა. ორივე სპორტსმენი შეყვანილია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდში.

მოციგავეები შეჯიბრებებისთვის მოამზადეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. ქუმარიტაშვილმა და მწვრთნელმა ვ. მიქაბერიძემ.

ცენტრალური თავდამსხმელები— ყურადღების ცენტრში

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

●



თბილისი. სპორტის სასახლე. 9 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 80:79 (43:39).

„დინამო“: ძიძიგური (2), ბოროდაჩოვი (2), გრძელიძე (6), ბიჭიაშვილი (2), ჩიხლაძე (4), ქორქია (8), დერიუგინი (31), გულდედავა (6), პულავსკი (7), სინჯარაძე (2).

„ჟალგირისი“: არლაუსკასი (8), მასალსკისი (16), ჩივილისი (24), ლეკარაუსკასი, ჟუკაიტისი (13), იანკაუსკასი (2), ხომიჩუსი (14), ვალიკონისი, ლასკისი (2).

მსაჯები: მ. დავიდოვი (მოსკოვი), პ. ანტონოვი (ნარვა).

ახლა, როცა წინასწარი შეხვედრები უკან დარჩა და ფინალური ექვსეული გამოიკვეთა, მედლებისთვის ბრძოლამ ლოკალური ხასიათი მიიღო. შესაბამისად გაიზარდა თითოეული გამარჯვების, თითოეული ქულის ფასი. ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით ძირითადი ექვსეულის ყველა ბინადარს აქვს საპრიზო ადგილის მოპოვების რეალური შანსი, კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ნებისმიერი გუნდი შეეცდება შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინოს და სასურველი ბალანსით მივიდეს ექვსთვიანი მარათონის ფინიშთან.

ცსკა, რომელიც პარალელურად ევროპულ ტურნირშიც გამოდის, ერთი დღის დაგვიანებით ჩამოვიდა თბილისში, მანამდე კი ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ მოსკოვის „დინამო“ — ლენინგრადის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ — კაუნასის „ჟალგირისი“. ლენინგრადელები შედარებით იოლად გაუმკლავდნენ მეტოქეს (106:86) და მე-17 გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში. გუშინწინდელი შეხვედრა გაცილებით ძნელი გამოდგა მასპინძელთათვის.

მოხდა ისე, რომ ერთ თვეში ამ გუნდებმა ერთმანეთთან ზედიზედ 3 მატჩი გამართეს. პირველ შეხვედრაში, რომელიც 9 იანვარს ჩატარდა თბილისის სპორტის სასახლეში, ქართველ კალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო — 95:73. კაუნასში „ჟალგირისმა“ შეძლო რევანშის აღება (89:85) და აი, მესამე შეხვედრა. ამჯერად ბალტიისპირელთა რიგებს ერთდროულად გამოაკლდა ორი ლიდერი — იოვაიშა და ლინკიავიჩუსი (პირველი დისკვალიფიცირებული იყო, მეორეს კი ტრავმა ჰქონდა). რა თქმა უნდა, ამან საგრძნობლად შეასუსტა „ჟალგირისის“ საბრძოლო მექანიზმი, თუმცა ამ გუნდს სრულფასოვანი რეზერვიც ჰყავს და მატჩის პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ იოლად არაფერს დათმობდა.

ამთავითვე უნდა ითქვას: „დინამო“ საკუთარ ძალებში აშკარად დარწმუნებული გამოვიდა მოედანზე და ამას საბოლოოდ კოლექტივს ცუდი სამსახური გაუწია. ყოველი კონკრეტული მატჩის წინ საკუთარი და მეტოქის ძალების ანალიზი, შეფასება აუცილებელია, მაგრამ იგი არ უნდა გასცდეს ობიექტურობის ფარგლებს. მომეტებული თვითდაჯერება, საკუთარი მოედნის ფაქტორის მექანიკური აღქმა, ჩვეულებრივ, ელემენტარული, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უხეში შეცდომების მიზეზი ხდება. ასეთი შეცდომები კი გუშინწინდელ მატჩში საკმაოზე მეტი იყო: არაზუსტი გადაცემები და ტყორცნები, პასიური თამაში დაცვაში, მოჭარბებული ინდივიდუალიზმი.

შეიძლება ზემოთქმულს საყვედურის ტონი დაჰკრავდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და გაჩუმება არ ივარგებს. მით უმეტეს, ჩვენს გუნდს წინ არანაკლებ დაძაბული მატჩები ელის, რომელთა შედეგებმაც უნდა განსაზღვროს „დინამოს“ ძირითადი სტრატეგიული ჩანაფიქრის (საპრიზო ადგილის მოპოვების) რეალურობა. ქართველმა კალათბურთელებმა უკვე არაერთხელ დაგვარწმუნეს, რომ საკავშირო ჩემპიონატში ნებისმიერ გუნდთან შეუძლიათ ბრძოლა და გამარჯვებაც. ამ იმედით მოდის მაყურებელი სპორტის სასახლეში, ამ რწმენით ავსებს ათიათასიან ტრიბუნას.

...დინამოელთა სასტარტო ხუთეულმა უკვე მე-5 წუთზე მიაღწია საკმაოდ სოლიდურ უპირატესობას (18:8), მაგრამ ცოტა ხანში თვითვე დათმო მოპოვებული. მოედანზე პოზიციური ბრძოლა გაჩაღდა და პირველ ტაიმში მწვრთნელებს საგანგებო ზომებისათვის არ მიუმართავთ. კალათბურთში მატჩის საბოლოო შედეგს მნიშვნელოვანწილად ცენტრის მოთამაშეთა ოსტატობა განაპირობებს. ამიტომ იყო, რომ დერიუგინი და ჩივილისი მჭიდრო მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდნენ. მართალია, დერიუგინი ერთფეროვნად მოქმედებდა შესვენებამდე, მაგრამ მეორე ტაიმში აქტიურად და, რაც მთავარია, შედეგიანად ათამაშდა. ჩვენს დაცვას არანაკლები საზრუნავი გაუჩინა ჩივილისმაც, რომელიც საუკეთესო იყო სტუმართა შორის. მეორე ტაიმის მიწურულს პირველად სწორედ ჩივილისმა დააწინაურა თავისი გუნდი (75:74), ბოლო წამებზე მასვე მიეცა მატჩის ხსნის შესაძლებლობა, მაგრამ ამჯერად ნერვებმა უმტყუნა და ბურთი მიზანს ვერ მოახვედრა. ეს იყო ამ მატჩის კულმინაციური მომენტი, რომელიც საბედისწერო გამოდგა „ჟალგირისისთვის“. მანამდე კი ძნელი სათქმელი იყო,

ვის დარჩებოდა საბოლოო გამარჯვება. ქორქია, რომელიც თავიდან სნაიპერული ტყორცნებით გამოირჩეოდა, შესვენების შემდეგ ჩრდილში მოექცა, მთელი ძალით ვერ ითამაშეს ჩიხლაძემ, გულდედავამ, ბოროდაჩოვმა, ბიჭიაშვილმა. ამიტომ იყო, რომ მწვრთნელებმა „გზადაგზა“ არაერთხელ გადააახალისეს შემადგენლობა. საბოლოოდ, „დინამომ“ მეტად დაძაბული მატჩი მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მიზნისკენ.

ე. ბერიშვილი.

(იხ. მე-4 გვ.).

* * *

სურათებზე: ქორქია უტევს „ჟალგირისის“ კალათს; ლენინგრადის „სპარტაკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრის მომენტი. დერიუგინმა კიდევ ორი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

ე. ხუცურაულისა და გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

● ფეხბურთი

იუგოსლავიის ქალაქ მოსტარში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც თბილისის დინამოელებიც მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო ტურნირი იუგოსლავიაში

თბილისელებმა თავიანთი პირველი მატჩი მოუგეს ბელგრადის ცნობილ „პარტიზანს“ — 1:0 და ტურნირის გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ მოსტარის „ველეჟს“. თამაშში მოიგო „ველეჟმა“ — 2:1, რომელმაც დაიკავა I ადგილი. II ადგილზე არიან თბილისელები.

საქართველოს სპორტკომიტეტში

ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა

ვაჯამებთ სოცი
შეჯიბრების

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეაჯამა ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში უმაღლესი სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 1980 წლის შედეგები.

საქართველოს სპორტსმენებმა შარშან ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის, სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა, აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს ჩემპიონატებსა და პირველობებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

55 სპორტსმენმა პირველად შეასრულა ან დაადასტურა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი, 320-მა მოიპოვა სპორტის ოსტატობა (37 სახეობაში). გასულ სეზონში საქართველოს 40 წარმომადგენელი დაეუფლა საპრიზო ადგილებს XXII ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში. მათ დაისაკუთრეს ერთი მსოფლიოს და 6 საკავშირო თასი. ამავე შეჯიბრებებში 15 სპორტსმენი გახდა პრიზიორი.

საქართველოს წარგზავნილებმა საკავშირო ჩემპიონატებიდან 24 ოქროს, 45 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჩამოიტანეს.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება უმაღლესი სპორტული ოსტატობისათვის 3 ჯგუფად ტარდებოდა. I ჯგუფში გამარჯვებისთვის იბრძოდა ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქის და ქალაქების 11 ორგანიზაცია. II ჯგუფში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების წარმომადგენლები, III — საქართველოს რაიონების 24 კოლექტივი.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ანალიზმა ცხადყო საერთო წარმატებებში ორგანიზაციების მიერ შეტანილი წვლილის უთანაბრობა, (ყველაფერი ეს ქვემოყვანილ საბოლოო ცხრილიდანაც ჩანს). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ III ჯგუფის — რაიონული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სპორტის ზაფხულის ოლიმპიური სახეობების განვითარების საქმეში.

ერთგვარად დაქვეითდა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის", ქ. ფოთის, ორჯონიკიძისა და დუშეთის რაიონების მაჩვენებლები. სიღნაღის, წითელწყაროს, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, გურჯაანის, ჩოხატაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის წარმომადგენლები, რომლებიც 1979 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, გასულ წელს ამ ღონისძიებას გამოეთიშნენ.

საქართველოს სპორტკომიტეტი რესპუბლიკაში სპორტული და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტურ შეჯიბრებას, ამიტომაც სოცშეჯიბრების ფორმების სრულყოფისთვის, აგრეთვე ფიზკულტურასა და სპორტში სამეცადინოდ ნიჭიერი ახალგაზრდობის უფრო ფართოდ მისაზიდად (რამაც ხელი უნდა შეუწყოს 1984 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის სპორტული რეზერვების მომზადებას) მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ამ გადაწყვეტილებით უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში **საპრიზო ადგილებზე გასულნი** (ჯგუფების მიხედვით) **დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის ვიმპელებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.**

ეს ჯილდოები მიიღეს: **I ჯგუფიდან** (ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი) — **პირველი ადგილისათვის ქ. თბილისის** (კომიტეტის თავმჯდომარე გ. ყარმელი) **ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, რომელმაც 7447,0 ქულა მოაგროვა. II ადგილისათვის — ქ. ქუთაისის** (ლ. ახვლედიანი) **ორგანიზაციამ — 798,0, III ადგილისათვის—აჭარის ასსრ** (ზ. მამუკაძე) **ორგანიზაციამ — 515,0.**

II ჯგუფიდან (სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი) —**„ბურევესტნიკის"** რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარე გ. მარაშაძე) — 1783,0 ქულა, **„განთიადის"** ცენტრალურმა საბჭომ (ა. გიორგობიანი) — 1767,0 და **„დინამოს"** რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარის მოადგილე ვ. თელია) — 1591,0.

III ჯგუფიდან (რესპუბლიკის რაიონები) წარმატებას მიაღწიეს **მცხეთის** (თავმჯდომარე ა. ბერიძე) — 199,0 ქულა, **გარდაბნისა** (ვ. ნუცუბიძე) — 139 და **კასპის** (ა. ჯილილი) — 128,0 რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. დასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გაწეული მუშაობისთვის **გამოეცხადათ მადლობა.**

საქართველოს სპორტკომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკის რიგი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილება, რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა ოლიმპიურ სახეობებში უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარების საქმეში.

ეს ორგანიზაციებია: ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტკლუბი (უფროსი ა. ლუხიანიძე), საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო (სამმართველოს უფროსი დ. კვინიკაძე), „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარის მოადგილე ა. შენგელია), „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე ა. კორინთე-

საბოლოო ცხრილი

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის 1980 წელს გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა

ადგილები	ორგანიზაციები	დაკავებული ადგილები			ქულები ადგილებისათვის	საერთაშორისო კლასის ოსტატები					სპორტის ოსტატები					ქულათა საერთო ჯამი
						გეგმიური		არაგეგმიური			გეგმიური		არაგეგმიური			
		I	II	III		რაოდენობა	ქულები	რაოდენობა	ქულები	სულ ქულები	რაოდენობა	ქულები	რაოდენობა	ქულები	სულ ქულები	
	I ჯგუფი — ასსრ, აო, ქალაქები															
1.	ქ. თბილისი	384	289	313	7.004,0	18	72,0	35	70,0	142,0	147	294,0	7	7,0	301,0	7.447,0
2.	ქ. ქუთაისი	43	28	14	728,0	1	4,0	—	—	4,0	30	60,0	6	6,0	66,0	798,0
3.	აჭარის ასსრ	32	17	20	471,0	—	—	1	2,0	2,0	20	40,0	2	2,0	42,0	515,0
4.	ქ. გორი	10	14	16	363,0	1	4,0	—	—	4,0	8	16,0	—	—	16,0	383,0
5.	აფხაზეთის ასსრ	11	27	5	338,0	—	—	—	—	—	17	34,0	6	6,0	40,0	378,0
6.	ქ. რუსთავი	3	5	2	80,0	—	—	—	—	—	2	4,0	3	3,0	7,0	87,0
7.	სამხრეთ-ოსეთის აო	16	12	14	309,0	1	4,0	—	—	4,0	8	16,0	4	4,0	20,0	333,0
8.	ქ. ზუგდიდი	4	2	2	57,0	—	—	—	—	—	—	—	2	2,0	2,0	59,0
9.	ქ. ფოთი	4	1	3	44,0	—	—	—	—	—	3	6,0	3	3,0	9,0	53,0
10.	ქ. ჭიათურა	2	1	—	31,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	31,0
11.	ქ. ტყიბული	1	—	2	15,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	15,0
	II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებები და უწყებები															
1.	„ბურევესტნიკი"	77	69	91	1.683,0	4	16,0	5	10,0	26,0	35	70,0	4	4,0	74,0	1.783,0
2.	„განთიადი"	115	72	61	1.679,0	2	8,0	4	8,0	16,0	32	64,0	8	8,0	72,0	1.767,0
3.	„დინამო"	73	55	51	1.451,0	7	28,0	11	22,0	50,0	43	86,0	4	4,0	90,0	1.591,0
4.	ასკ	67	49	54	1.080,0	6	24,0	10	20,0	44,0	19	38,0	4	4,0	42,0	1.166,0
5.	განათ. სამინ.	66	37	31	1.093,0	—	—	4	8,0	8,0	20	40,0	5	5,0	45,0	1.146,0
6.	„შრ. რეზერვები"	56	45	46	1.053,0	2	8,0	2	4,0	12,0	24	48,0	—	—	48,0	1.113,0
7.	„სპარტაკი"	47	42	45	987,0	1	4,0	3	6,0	10,0	33	66,0	3	3,0	69,0	1.066,0
8.	„კოლმეურნე"	41	48	37	806,0	—	—	2	4,0	4,0	38	76,0	8	8,0	84,0	894,0
9.	„ლოკომოტივი"	38	26	14	623,0	1	4,0	1	2,0	6,0	16	32,0	6	6,0	38,0	667,0
10.	„ვოდნიკი"	15	13	10	246,0	—	—	—	—	—	7	14,0	1	1,0	15,0	261,0
11.	„ზენიტი"	5	3	2	88,0	—	—	—	—	—	3	6,0	3	3,0	9,0	97,0
	III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები															
1.	მცხეთა	10	5	2	194,0	—	—	—	—	—	—	—	5	5,0	5,0	199,0
2.	გარდაბანი	6	6	1	137,0	—	—	—	—	—	1	2,0	—	—	2,0	139,0
3.	კასპი	9	9	7	124,0	—	—	—	—	—	1	2,0	2	2,0	4,0	128,0
4.	მახარაძე	5	5	—	90,0	—	—	—	—	—	1	2,0	—	—	2,0	92,0
5.	ქარელი	3	—	—	80,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	80,0
6.	ახმეტა	3	1	3	62,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	62,0
7.	ახალციხე	3	1	5	56,0	—	—	—	—	—	—	—	1	1,0	1,0	57,0
8.	თელავი	3	1	8	46,0	—	—	—	—	—	2	4,0	—	—	4,0	50,0
9.	საჩხერე	3	2	2	37,0	—	—	1	2,0	2,0	1	2,0	—	—	2,0	41,0
10.	სამტრედია	2	2	2	38,0	—	—	—	—	—	—	—	1	1,0	1,0	39,0
11.	ხაშური	3	1	—	34,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	34,0
12.	საგარეჯო	2	—	1	28,0	—	—	—	—	—	—	—	3	3,0	3,0	31,0
13.	მესტია	2	—	1	23,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	23,0
14.	ორჯონიკიძე	1	2	1	14,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	14,0
15.	დუშეთი	2	1	4	11,0	—	—	—	—	—	1	2,0	—	—	2,0	13,0
16.	გორის რ-ნი	1	—	—	10,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10,0
17.	ლაგოდეხი	—	1	1	6,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6,0
18.	ყვარელი	—	1	—	6,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6,0
19.	მარნეული	—	1	—	6,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6,0
20.	ზესტაფონი	—	—	1	3,0	—	—	—	—	—	1	2,0	—	—	2,0	5,0
21.	ახალქალაქი	—	—	1	4,0	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	4,0
22.	ლენტეხი	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	2,0	1	1,0	3,0	3,0
23.	ბორჯომი	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	2,0	—	—	2,0	2,0
24.	ცხაკაია	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	1,0	1,0	1,0

შენიშვნა: გრაფაში — „დაკავებული ადგილების რაოდენობა" გათვალისწინებულია სპორტსმენების (გუნდების) მიერ ყველა რანგის შეჯიბრებებში დაკავებული I, II, III ადგილები; ქულები დარიცხულია მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში: I ადგილისთვის — 5 ქულა, II ადგილისთვის — 3, III ადგილისთვის — 1 სათანადო კოეფიციენტების გათვალისწინებით.

გრაფაში — „საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი" და „სსრ კავშირის სპორტის ოსტატი" ორგანიზაციებს ერიცხებათ: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის დაგეგმილ სახეობაში მომზადებისთვის 4-4, ხოლო დაუგეგმავ სახეობაში მომზადებისთვის — 2-2 ქულა, სსრკ სპორტის ოსტატის მომზადებისთვის შესაბამისად 2-2 და თითო ქულა.

ახალი საფეხბურთო სეზონის წინ

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შაბათობა ჰქონდათ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლეებს. მათ დაასუფთავეს ბაზის ტერიტორია, დაბარეს მიწა, გაწმინდეს ნარგავები. ამას გარდა, წესრიგში მოიყვანეს საძინებელი და სარეაბილიტაციო კორპუსები.

სურათზე: თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლეები შაბათობისას მუშაობენ დინამოელ ფეხბურთელთა საწვრთნელ ბაზაზე.

თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციები

(უცხოური პრესის მიმოხილვა)

70-იანი წლების საერთაშორისო ფეხბურთში მოხდა ძალთა ერთგვარი გადაფასება. წამყვან პოზიციებზე დაწინაურდნენ გუნდები, რომლებსაც მანამდე დიდი წარმატებები არ ჰქონიათ. ავიღოთ პოლანდიის ნაკრები. 60-იანი წლების პოლანდიის ნაკრების მაჩვენებლები მოკრძალებული იყო, იგი არ მონაწილეობდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, ამიტომ „ფრანს ფუტბოლმა" თავისი კლასიფიკაციით პოლანდიელებს მაშინ მე-20 ადგილი მიაკუთვნა. 1972 წელს კი პოლანდიელები იგივე „ფრანს ფუტბოლის" კლასიფიკაციით მე-2 ადგილზე აღმოჩნდნენ. 70-იანი წლები პოლანდიის ნაკრებისა და საკლუბო გუნდების აღზევების პერიოდია. აქ გამოჩნდნენ შესანიშნავი ოსტატები კრუიფი, ნეესკენსი, რეზენბრინკი, რეპი, ძმები კერკჰოფები და სხვები. წარმატებით ასპარეზობენ პოლანდიის კლუბები „აიაქსი", „ფეიენოორდი", „ეინდჰოვენი", „ტვენტე".

ყურადღებას იპყრობს სოციალისტური ქვეყნების ფეხბურთელთა წარმატებები. 60-იან წლებში პოლონეთისა და გდრ-ის ნაკრებ გუნდებს თვალსაჩინო მიღწევები არ ჰქონიათ. 70-იან წლებში კი ორივე ეს ქვეყანა ევროპული ფეხბურთის ელიტაში იკავებს ადგილს. პოლონელები ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები (1972 წ.) და ვიცე-ჩემპიონები (1976) არიან, ხოლო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავეს. დეინას, ლიუბანსკის, ლატოს, ბონიეკის, გორგონის, გადოხას და სხვათა სახელები გასცდა პოლონეთის საზღვრებს. ოლიმპიური ჩემპიონია გდრ-ის ნაკრები, რომელიც ამას გარდა ოლიმპიურ ვერცხლის (1980 წ.) და ბრინჯაოს (1972) მედლებს ფლობდა. აქაურმა მოთამაშეებმა კროიმ, დორნერმა, კურბიუვაიტმა, შნუპაზემ, შტრაიხმა, კრაიშემ, ჰოფმანმა, შპარვასერმა საერთო აღიარება ჰპოვეს.

მოწინავე პოზიციები შეინარჩუნეს ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდებმა. ჩეხოსლოვაკიელებმა მოიპოვეს ევროპის (1976) და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა ტიტული. ძლიერად თამაშობენ ონდრუში, იურკემიკ, შტამბახერი, პანენკა, მასნი, ვიზეკი, ნეჰოდა. საუკეთესო იყო იუგოსლავიის ნაკრებიც, რომელსაც „ფრანს ფუტბოლის" კლასიფიკაციით პირველი ადგილიც ჰქონდა.

70-იანი წლები გფრ-ის ნაკრების ჰეგემონიის ხანად შეიძლება ჩაითვალოს: 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის ორგზის (1972 და 1980 წლები) ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი (1976), 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. საყოველთაოდ ცნობილი არიან მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები: ბეკენბაუერი, ოვერატი, მიულერი, ნეცერი, ფოგტსი, ჰონესი, გრაბოვსკი, მაიერი, ბრაიტნერი, ბონჰოფი, რუმენიგე... გერმანელი მიმომხილველის გ. შაფერის აზრით, გფრ-ის ნაკრები 1978 წლის წარუმატებლობის შემდეგ ნელ-ნელა იკრებს ძალას და იბრუნებს მისთვის ჩვეულ საბრძოლო თვისებებს. ამ თვალსაზრისს იზიარებს არგენტინელთა მწვრთნელი ლ. მენოტიც.

ტოტალური ფეხბურთი 70-იანი წლების ღვიძლი შვილია და თავის წარმოშობას გფრ-ისა და პოლანდიის გუნდებს უნდა უმადლოდეს. „ბრაზილიური სისტემის შემდეგ ტოტალური ფეხბურთი ყველაზე დიდი შემოქმედებითი აღმოჩენაა ფეხბურთის ტაქტიკის სფეროში", — წერს „ვორლდ სოკერის" მიმომხილველი ჯ. რედნეჯი. ტოტალური ფეხბურთი ამ თამაშის პროგრესული განვითარების ლოგიკური შედეგია. იგი მაღალ მოთხოვნილებებს უყენებს ფეხბურთელებს. აი, როგორ ახასიათებენ მას ცნობილი სპეციალისტები ს. კოვაჩი, რ. მიხელსი, მ. მილიანიჩი, ჯ. რედნეჯი: „ტოტალურ ფეხბურთს საფუძვლად უდევს მოთამაშეთა დიდი ჯგუფის გამუდმებული კოლექტიური მანევრი, რომლებიც მრავალმხრივ არიან მომზადებული. აქ უცხოა ცალმხრივობა — მხოლოდ ტექნიკის ან მხოლოდ ძალის კულტი. რასაკვირველია, ტოტალური ფეხბურთი არ მოითხოვს ვიწრო სპეციალიზაციის მოსპობას. პირიქით, იგი ცდილობს ერთმანეთს შეუთავსოს მოთამაშეთა მრავალფეროვანი თვისებები, მათ წარმატებით უნდა შეცვალონ ერთმანეთი მინდვრის სხვადასხვა ადგილას. მცველი არ უნდა დაიბნეს შეტევის დროს, ხოლო თავდამსხმელმა კვალიფიციური დახმარება გაუწიოს დაცვას".

„ფრანს ფუტბოლის" მიმომხილველი ჟ.-ფ. რეტაკერი მართებულად შენიშნავს, რომ „ყველა რგოლის მოთამაშეთა ტექნიკური ოსტატობა ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. მცველებმა კალცმა, კროლმა, შერამ, პეცემ, შტილიკემ, გორდილომ გამოავლინეს იგივე ოსტატობა, რაც ყველაზე გამოჩენილმა თავდამსხმელებმა".

სამართლიანად მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება ე. წ. ლიბეროს (თავისუფალი მცველის) ფუნქციების გაფართოებამ. „ჩვეულებად იქცა დაცვის ორივე ფორმა — ზონური და პერსონალური". — წერს ჟ.-ფ. რეტაკერი. ამავე მიუთითებს მ. მილიანიჩიც და დასძენს, რომ „გფრ-ის ნაკრები შესანიშნავად იყენებდა დაცვის ორივე ფორმას".

მოკლედ მოვიხსენიოთ ლათინური ამერიკის ფეხბურთიც. 50-60-იან წლებში ბრაზილიის ნაკრების წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. ყველამ იცის პელეს, გარინჩას, დიდის, ვავას, ზაგალოს, ბელინის, ჯ. და ნ. სანტოსების, ჟილმარის, ზიტოს, კლოდოალდოს, გერსონის, ტოსტაოსა და სხვათა სახელები. 70-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა ოდნავ დათმეს პოზიციები. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება არა მათ მიერ ნაჩვენებ შედეგებს, არამედ თამაშის ხარისხს. არ უნდა დავივიწყოთ ფეხბურთის ორი მხარე: სპორტული და ესთეტური, ე. ი. — სანახაობრივი. ტყუილად ელი მაყურებლის კმაყოფილებას, თუ გამარჯვების სანახაობრივ მხარეს წინ აქვს. მაყურებელს უყვარს ლამაზი გამარჯვებები. 60-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთში თავი იჩინა პრაგმატიზმმა, ანგარიშიანობამ, გამარჯვებისკენ მისწრაფებამ „ყოველგვარი საშუალებით". 70-იან წლებში ბრაზილიელთა თამაშმა დაკარგა ძველებური ლაზათი, მიმზიდველობა, რაც იმით აიხსნება, რომ მსოფლიო ჩემპიონებმა უარი თქვეს მათთვის დამახასიათებელ შეტევით სტილზე და ფრთხილი დაცვითი ფეხბურთის მიმდევართა რიგში მოექცნენ. ევროპული ფეხბურთის წაბაძვამ ბრაზილიელებს სარგებლობა ვერ მოუტანა.

გაჭიანურებულ კრიზის განიცდიდა ურუგვაის ნაკრები, რომელმაც მხოლოდ ახლახან გამოიჩინა თავი მონტევიდეოს „ოქროს ტურნირზე". 70-იან წლებში მიღწევები აქვს პერუს ნაკრებს, რომელიც ორჯერ (1970 და 1978 წლებში) გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში, რამდენჯერმე გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

არგენტინის ნაკრების წარმატებას მსოფლიოს XI ჩემპიონატზე და მის სათამაშო კონცეფციას საფეხბურთო სამყაროში ფართო რეზონანსი ჰქონდა. არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი გახდა იმიტომ, რომ უარი თქვა თამაშის ძველ სტილზე. მენოტი სასტიკად შეებრძოლა ევროპული ფეხბურთის არქაულ სტილს. მან მთავარ დევიზად გამოაცხადა შეტევა და მხოლოდ შეტევა. ამას გარდა, შეძლო არგენტინელ ვარსკვლავთა უსაფუძვლო ახირებანი (გაიხსენეთ როგორ გარიცხა მენოტიმ გუნდიდან კარასკო და გატი).

არგენტინელებმა ტოტალურ ფეხბურთს სისწრაფე, შნო და ლაზათი შემატეს, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანეს იგი. უსწრაფესი ტოტალური ფეხბურთი — აი, არგენტინელთა მთავარი კოზირი.

პუბლიკაცია მოამზადა
მ. კალანდაძემ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

პეტკოვი „ავსტრიაში"

ბულგარეთის ეროვნული ნაკრებისა და „ბერიოე სტარა ზაგორას" ყოფილი თავდამსხმელი, 31 წლის პ. პეტკოვი ამიერიდან ვენის „ავსტრიის" ღირსებას დაიცავს. აღსანიშნავია, რომ პეტკოვის ყოფილი გუნდი ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე შეხვდა „ავსტრიას" და პირდაპირ გაანადგურა იგი — 7:0 და 3:1. ამ 10 გოლიდან 7 სწორედ პეტკოვს ეკუთვნის.

6 სპეციალური მონეტა

როგორც ესპანური პრესა იუწყება, ფეხბურთში მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატისთვის გამოუშვებენ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ 6 სპეციალურ მონეტას.

კრუიფს შესთავაზეს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა ცვარტკრუისი. მისი პოსტი შესთავაზეს 32 წლის ი. კრუიფს, რომელმაც გარკვეული დრო მოითხოვა მოსაფიქრებლად. საქმე ის არის, რომ ვეტერანი კვლავ ჩინებულად თამაშობს და მთელი რიგი კლუბები აწარმოებენ მოლაპარაკებას მასთან კონტრაქტის შესახებ.

საინტერესო აღმოჩენა

ერთ-ერთ მატჩში ინგლისის გუნდებს „ლივერპულსა" და „ასტონ ვილას" შორის, რომელსაც ორივე მხარისთვის ძალზე პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ჟურნალისტმა ბ. ჩერსტონმა საინტერესო დაკვირვება გააკეთა. მან წამზომით დაადგინა, რომ მატჩის სუფთა დრო მხოლოდ 61,44 წუთს გაგრძელდა. დანარჩენი კი დაიხარჯა აუტების, მეკარის მიერ ბურთის თამაშში შეყვანის, საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისა და კუთხურებისთვის.

ინგლისელთა პროტესტი

დასავლეთის სააგენტოების ცნობით, თუ ა. წ. მაისში ინგლის — შოტლანდიის გუნდების მატჩის დროს მაყურებელთა შორის კვლავ ატყდება ჩხუბი, ინგლისის ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია კატეგორიულ უარს იტყვის საერთოდ შეხვდეს რომელიმე რანგის ტურნირში შოტლანდიელებს.

ზებეცის ნაცვლად — რისტიჩი

როგორც ცნობილია, გფრ-ის „ჰამბურგერ შპორტფერაინის" დირექტორატმა გაათავისუფლა უფროსი მწვრთნელი ბ. ზებეცი. ოფიციალური მოტივირება გახლდათ ის, რომ იუგოსლაველი მწვრთნელი... სვამდა და გაფრთხილების მიუხედავად, მთვრალი ცხადდებოდა ვარჯიშზე.

გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნულია ზებეცის ყოფილი ასისტენტი ა. რისტიჩი (იუგოსლავია).

ჰამბურგში რჩება

ტურინის „იუვენტუსის" მიწვევის მიუხედავად გფრ-ის ნაკრების ცენტრფორვარდმა ჰ. ჰრუბეშმა გადაწყვიტა სამშობლოში დარჩეს. მან კიდევ 2 წლით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას „ჰამბურგერ შპორტფერაინთან".

შუსტერმა მიატოვა „ბარსელონა"

„ფრანს ფუტბოლის" „ვერცხლის ბურთის" ლაურეატმა შუსტერმა უნებართვოდ მიატოვა ესპანეთის „ბარსელონა" და გფრ-ში დაბრუნდა. ახალგაზრდა ფეხბურთელის ამ საქციელს ხსნიან მისი უთანხმოებით გუნდის კაპიტან მიგუელთან. მიმომხილველები იმასაც წერენ, რომ ყველა უცხოელმა „ბარსელონა" დატოვა მიგუელის გამო.

კ. კუტინიო — აშშ-ში

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კ. კუტინიო ამ ბოლო ხანებში მუშაობდა რიო-დე-ჟანეიროს პოპულარულ საფეხბურთო კლუბ „ფლამენგოს" ხელმძღვანელად. კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ კი კუტინიო გაემგზავრა აშშ-ში, სადაც სათავეში ჩაუდგა „ლოს-ანჯელეს აცტეკს".

განკურნების შემდეგ

გარინჩა, რომელიც ალკოჰოლიზმისაგან განიკურნა, დაინიშნა ბრაზილიის პროფესიონალ ფეხბურთელთა პროფკავშირის თანამშრომლად. ამავე დროს იგი კვლავ მონაწილეობს ამხანაგურ მატჩებში.

რევანში!

ურუგვაიში „მონდიალიტოს" დამთავრების შემდეგ გაიმართა მატჩი ფეხბურთში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჟურნალისტთა ნაკრებ გუნდებს შორის, რომლებიც ამ ასპარეზობას აშუქებდნენ. ევროპელ ჟურნალისტებს ხელმძღვანელობდა გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი ი. დერვალი. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს ევროპელებმა. „რევანში აღებულია!" — წამოიძახა დერვალმა.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

●

სრული უპირატესობით

თბილისი. სპორტის სასახლე. 10 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 90:76 (44:34).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: ბოროდაჩოვი (17), გრძელიძე (8), ბიჭიაშვილი (16), ჩიხლაძე (6), ქორქია (4), დერიუგინი (37), გულდედავა (2).

„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“: პავლოვი (12), ხარჩენკოვი (6), კუზნეცოვი (16), სილანტიევი (10), კაპუსტინი (8), მაკეევი (4), კაპრილენკო (2), გორინი (4), აგეევი (5), ტიუბინი (9).

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), რ. ვასილევსკი (მინსკი).

დინამოელთა სასტარტო ხუთეულმა (ჩიხლაძე, ქორქია, დერიუგინი, ბოროდაჩოვი, გულდედავა), თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა მეტოქეს. განსაკუთრებით აქტიურობდა დერიუგინი, ორივე ფარქვეშ ჩინებულად თამაშობდა ბოროდაჩოვი.

მასპინძელთა უპირატესობა თანდათან აშკარა ხდება: მე-15 წუთისათვის ისინი იგებენ — 34:24. კარგად ჩაერთო თამაშში ბიჭიაშვილი, რომელიც ეფექტურად აგვირგვინებს თანაგუნდელთა შეტევებს. ლენინგრადელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სილანტიევმა ვერაფერი გააწყო დერიუგინთან, ამიტომ მწვრთნელებმა იგი სათადარიგოთა სკამზე დასვეს.

შესვენების შემდეგ ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. „სპარტაკი“ თავგამოდებით იბრძვის მდგომარეობის გამოსწორებისთვის, მაგრამ მასპინძელთა ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის შეჩერება უკვე შეუძლებელია. ჩვენი კალათბურთელები მჭიდრო პრესინგის პირობებშიც მშვენივრად გრძნობენ თავს და წინ მიიწევენ. მაშინ ლენინგრადელებმა შორი დისტანციიდან იწყეს ბურთის ტყორცნა მიზანში. აქ გადამწყვეტი სიტყვა კუზნეცოვსა და კაპუსტინს უნდა ეთქვათ. მართალია, ერთმაც და მეორემაც საკმაო ქულები შესძინა გუნდს, მაგრამ ვითარება მაინც არ შეცვლილა. იყო მომენტი, როცა მასპინძლები 18 ქულით იყვნენ წინ. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო. თბილისის „დინამომ“ ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა მეტოქე და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

• • •

გუშინ გაიმართა კიდევ ორი მატჩი: ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 126:120 (44:59, 112:112), „სტროიტელი“ — „ჟალგირისი“ 90:76 (45:44).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 11 თებერვლისთვის

	თ.	მ.	ბ.	ქ.
ცსკა	25	22	2504—2079	47
„დინ.“ თბ.	26	17	2259—2259	43
„სპარტ.“	26	17	2223—2069	43
„ჟალგირ.“	26	15	2208—2209	41
„სტროით.“	25	15	2110—1983	40
„დინ.“ მ.	26	14	2579—2493	40

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

როგორც ვიუწყებოდით, 9 თებერვალს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ნ. ალექსანდრია — ნ. იოსელიანის მატჩის მერვე პარტია, რომელიც ალექსანდრიამ მოიგო. გთავაზობთ ამ პარტიას.

მერვე პარტია
ალექსანდრია — იოსელიანი

უსახელო დასაწყისი

1. d4 c5 2. d×c5 მf6 3. მc3 e6 4. e4 მc6 5. კe3 ლa5 6. f3 კ×c5 7. კ×c5 ლ×c5 8. ლd2 0—0 9. 0—0—0 d5 10. e×d5 e×d5 11. მge2 ეd8 12. მd4 კd7 13. კe2 ეac8 14. g4 მa5 15. მb3 მ×b3+ 16. a×b3 ლa5 17. მფb1 ლc5 18. g5 მe8 19. ლ×d5 ლe3 20. კc4 კe6 21. ლ×d8 ე×d8 22. ე×d8 კ×c4 23. b×c4 მფf8 24. ეhd1 ლ×g5 25. ეb8 ლg2 26. ეe1 g6 27. ეe×e8+ მფg7 28. b3 ლ×f3 29. მფb2 h5 30. ეe7 ლh3 31. ე8×b7 ლ×h2 32. მe4 მფh6 33. c5 ლg2 34. c6. შავები დანებდნენ.

იოსელიანმა მეტოქეს თეორიაში დაუსახელებელი დასაწყისი შესთავაზა, ორიგინალურად და გამომწვევად გაითამაშა დებიუტი, რაც სამატჩო მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. ალექსანდრიამ ღრმად გაიაზრა შემდგომი ბრძოლის ქარგა და სიცილიური დაცვისთვის დამახასიათებელ იდეებს დაუკავშირა იგი, გააკეთა გრძელი როქი და შავი მეფის პოზიციას პაიკებით დაემუქრა. ამავე დროს მზად იყო თამაში ენდშპილში გაეგრძელებინა, რადგან იოსელიანს ცენტრში გამხოლოებული პაიკი ჰქონდა.

როცა მხარეთა გეგმები გამომჟღავნდა, თამაშს გარკვეული გეზი მიეცა, იოსელიანი სავსებით სწორად ცდილობდა ცენტრალური პაიკის ხელსაყრელი შეწირვით საიერიშო ხაზები გაეხსნა თავისი ფიგურებისთვის, მაგრამ შეწირვა ვერ მოხერხდა. ბოლოს იოსელიანმა უბრალოდ წააგო ეს პაიკი და აქ პარტიის ბედიც გადაწყდა. იოსელიანს არ აღმოაჩნდა აქტიური კონტრთამაშის შესაძლებლობა, ამიტომ ალექსანდრიამ ადვილად მოახდინა უპირატესობის რეალიზება: ჯერ ლაზიერში ორი ეტლი მოიგო, მერე — მხედარი.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 6:2 ალექსანდრიას სასარგებლოდ. დარჩენილ 4 პარტიაში მას ნახევარი ქულა ჰყოფნის ორთაბრძოლის მოსაგებად.

მეცხრე პარტია დღეს, 11 თებერვალს უნდა გაიმართოს.

პანორამა

● ცურვა

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ გარეუბნის 25-მეტრიან აუზში დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 25 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. სალნიკოვმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. II და III ადგილებზე მისი თანაგუნდელები ს. რუსინი და ე. პეტროვი გავიდნენ. ქალთა შორის ყველას აჯობა პ. შნაიდერმა (გდრ), ვ. შემეტოვმა მოიგო 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა. რ. ქულპამ — 100 მეტრზე ბრასით ასპარეზობაში ისახელა თავი, ლ. გორჩაკოვამ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში აჯობა ყველას.

● მოტოსპორტი

ᲘᲜᲪᲔᲚᲘᲡ (გფრ) ყინულის სტადიონზე დამთავრდა მოტოციკლით ყინულზე რბოლაში მსოფლიოს მესამე გუნდური ჩემპიონატი. გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

● ციგაოგა

ᲯᲐᲛᲐᲠᲡᲢᲠᲐᲜᲓᲘᲡ (შვეცია) ტრასაზე გაიმართა მოციგაოვეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ერთადგილიანებით ვაჟთა შეჯიბრებაში ს. დანილინის (სსრკ) მიერ ოქროს მედლის მოპოვების შესახებ უკვე ვიუწყებოდით. აქვე ქალთა შორის უძლიერესი გახლდათ მ. ზოლმანი — 2.42,71. „ვერცხლი“ ერგო ბ. შმიდტს (ორივე — გდრ —2.42,89. ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ზოზულია (სსრკ) „ბრინჯაოს“ დაეუფლა — 2.42,74, ვაჟების ორადგილიანებით დაშვება მოიგო გდრ-ის დუეტმა (ბ. და უ. ჰანები — 1.20,27. ეისაკსი და ვეიკშა (სსრკ) V ადგილზე გავიდნენ — 1.21,8.

● ბობსლეი

ᲙᲝᲠᲢᲘᲜᲐ Დ' ᲐᲛᲞᲔᲪᲝᲨᲘ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ბობსლეიში. 4-ადგილიანებით უძლიერესი იყო გდრ-ის კვარტეტი, რომელმაც 4 დაშვების ჯამში 4.50,9 დახარჯა. საბჭოთა გუნდმა, რომლისთვისაც ეს შეჯიბრება სადებიუტო იყო, უკან ჩამოიტოვა დიდი ბრიტანეთის, იტალიის, შვეციის, აშშ-ისა და სხვათა კვარტეტები და VIII ადგილი დაიკავა.

● სამთო თხილამურები

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ თასებისთვის მებრძოლმა ვაჟებმა ნორვეგიაში გადაინაცვლეს და კირკერუდბაკენის მიდამოებში სპეციალურ სლალომში იასპარეზეს. 500-მეტრიანი ტრასა პირველ ცდაზე ყველაზე სწრაფად გაიარა ვ. ანდრეევმა (სსრკ) — 46,48. შემდეგ ცდაზე იმარჯვა მასპინძელმა ი. სტენმარკმა, რომელმაც ორი ცდის ჯამში 1.32,51 დახარჯა. ანდრეევი III ადგილზე აღმოჩნდა — 1.33,16, V იყო ა. ჟიროვი (სსრკ) — 1.33,51. II ადგილი კი წილად ხვდა შვედ ბ. ჰელბერგს — 1.33,09.

● ბიატლონი

ᲝᲑᲔᲠᲯᲝᲤᲨᲘ გამართული იუნიორ-ბიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში 3X7 კმ-ზე ესტაფეტა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა —1:37.0.

● ტყვიის სროლა

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ არმიელთა სპორტკლუბის დახურულ სასროლეთზე გამართული საკავშირო შეჯიბრება არმიელებმა მოიგეს, სტანდარტზე (3X40) პირად ჩათვლაში როსტოველმა ბ. ლვოვმა 1173 ქულა მოაგროვა და მოსკოველ ვ. ვლასოვის ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები გაიმეორა.

● ბურთიანი ჰოკეი

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲨᲘ გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. ლიდერებმა — შვეციისა და სსრ კავშირის გუნდებმა მორიგ ტურში ერთნაირი ანგარიშით (8:0) დაამარცხეს შესაბამისად ფინეთისა და ნორვეგიის ნაკრები კოლექტივები.

● საბუერო სპორტი

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ქალაქ ჰამილტონში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი „დნ“ კლასის ბუერებით რბოლაში. ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა გ. ბოსეტმა. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი მ. კულმანი (სსრ კავშირი) V ადგილზე გავიდა, ხოლო იუნიორებში მსოფლიო ჩემპიონი, მისი თანამემამულე ვ. ვორემაა — მეექვსეზე. მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენები 48-საათიანი მომქანცველი ფრენისა და ავტობუსით 800 კილომეტრის გავლის შემდეგ პირდაპირ სტარტზე აღმოჩნდნენ. ტურნირში 120 სპორტსმენი მონაწილეობდა.

უკვე მეორე წევრ-კორესპონდენტი!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პროფესორის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. ელაშვილის სახელზე ქ. ლაიფციგიდან მოვიდა ოფიციალური წერილი სასიხარულო ცნობით:

„პატივცემულო კოლეგა ელაშვილო! ფიზკულტურისა და სპორტის ისტორიის საერთაშორისო ინტერნაციონალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურომ თქვენ წევრ-კორესპონდენტად აგირჩიათ. მივესალმებით თქვენს არჩევას ამ კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად. ველი თქვენს ნაყოფიერ მუშაობას კომიტეტში და გისურვებთ მომავალში წინსვლას და წარმატებებს ამ ჰუმანურ საქმეში.

მეგობრული სალამით, პროფესორი

გუნტერ ვონებერგერი“.

მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოდან აღნიშნული საერთაშორისო კომიტეტის პირველ წევრ-კორესპონდენტად ამ ხუთიოდე წლის წინათ აირჩიეს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურული მოძრაობის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი ა. ციბაძე.

ეს ქართველ მეცნიერთა მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობის ღირსეული აღიარებაა!

Ლ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,
პროფესორი.

ყველაზე უფრო...

„ᲰᲘᲜᲔᲡᲘᲡ რეკორდების წიგნი“ ყოველწლიურად ბევრ ქვეყანაში გამოდის. ამ წიგნიდან შეიძლება გავიგოთ რომელი შენობაა მსოფლიოში ყველაზე მაღალი, რომელ პოლიტიკურ მოღვაწეს სად და როდის წარმოუთქვამს ყველაზე გრძელი სიტყვა, რომელ ბიბლიოთეკაშია წიგნების ყველაზე მდიდარი ფონდი, რომელი გაზეთი გამოდის ყველაზე დიდი ტირაჟით.. ამ წიგნში არის სპორტული განყოფილებაც. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ბოლო გამოცემიდან, რომლებიც სპორტული პრესის ევროპის კავშირის (უეპს) ბიულეტენში გამოქვეყნდა.

* * *

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო ფრანგი ბიჭუნა (მისი გვარი უცნობი დარჩა), რომელიც ორადგილიანი მესაჭიანი გასაშლელით ფინალური ასპარეზობისას ჰოლანდიელთა ნავში მესაჭედ ჩაჯდა და პირველობაც მოიპოვა. ბიჭუნა 10 წლისაც არ იყო. მან ნიდერლანდელთა მესაჭე ჰ. ბროკმანი სწორედ ფინალის წინ შეცვალა, ვინაიდან თვით ბროკმანი პარტნიორებისთვის ერთობ მძიმე აღმოჩნდა.

• • •

ქალთა შორის ოლიმპიური ოქროს მედლის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელია მერჯორი ჰესტრინგი (აშშ), რომელმაც 1936 წლის თამაშებში მოიგო ტრამპლინიდან წყალში ხტომა.

• • •

ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის ყველაზე ხანდაზმული გახლდათ შვედი ოსკარ სვანი. 1912 წლის ოლიმპიადაზე, როცა მისი ქვეყნის ნაკრებმა მოიგო „გაქცეულ ტახზე“ სროლა, მან გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედალი მიიღო. მაშინ სვანი 65 წლისა და 258 დღისა გახლდათ. 1920 წლის თამაშებში სვანმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა. 1924 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ 77 წლის სვანს ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ვერცხლის ხაზზე გამოსულიყო.

• • •

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ყველაზე დიდი სტაჟი ჰქონდა დანიის მოფარიკავეთა გუნდის წევრს ივენ ოსიერს (გამოდიოდა 1908-1932 და 1948 წლის ოლიმპიადებში), აგრეთვე ნორვეგიელ აფროსან მაგნუს კონოვს (მონაწილეობდა 1908, 1920 და 1936-1948 წლების თამაშებში). სპორტსმენ ქალთა შორის ყველაზე სტაჟიანი გახლავთ ავსტრიელი მოფარიკავე ელენ მიულერ-პრაისი. იგი ოლიმპიადებში 24 წლის მანძილზე იბრძოდა.

• • •

რაიმონდო დ' ინცეო იტალიის ცხენოსანთა გუნდის შემადგენლობაში ზედიზედ 8 ოლიმპიადაზე (1948-1976 წწ) გამოდიოდა. ამ ხნის განმავლობაში მან მოიპოვა 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი.

• • •

ამერიკელი მოფარიკავე ქალი ჯენის ლი რომერი ზედიზედ 6 ოლიმპიური თამაშების მონაწილეა (1948-1968 წწ), ხოლო რუმინელი ბადროს მტყორცნელი ლია მანოლიუ ასევე 6 ოლიმპიადაში (1952-1972 წწ) იცავდა თავისი ქვეყნის ღირსებას. ყველაზე იღბლიანი გამოდგა მისი მეხუთე თამაშები (1968 წელს), როცა ოქროს მედალი მოიპოვა, მანამდე მანოლიუს მიღებული ჰქონდა ორი ვერცხლის მედალი (1960 და 1964 წლებში).

• • •

უდიდეს პროფესიულ ველორბოლაში „ტურ დე ფრანსში“ 5-5-ჯერ იზეიმეს გამარჯვება ფრანგმა ჟაკ ანკეტილმ (1957, 1961-1964 წლებში) და ბელგიელმა ედი მერქსმა (1969-1972, 1974 წლებში).

• • •

ერთდღიანი საგზატკეცილო ველორბოლის ყველაზე დიდ დისტანციას შეადგენდა 265 მილი (426,47 კმ) ლონდონიდან ჰოლიჰედამდე. ამ ტრასის რეკორდი (10:49.04) 1965 წელს დაამყარა ტომი სიმპსონმა.

• • •

ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი ეკუთვნის დასავლეთგერმანელ ცხენოსანს ჰანს-გიუნტერ ვინკლერს, რომელმაც გფრ-ის გუნდის შემადგენლობაში წინაღობათა გადალახვაში ოთხი უმაღლესი ჯილდო მოიგო (1956, 1960, 1964 და 1972 წლების თამაშებში), ხოლო 1956 წელს ჩემპიონი გახდა პირად ტურნირში. ფრანგი პიერ ჟონკერ დ' ორიოლა ერთადერთი მხედარია, რომელმაც შეძლო ორჯერ — 1952 და 1964 წლებში გაემარჯვა წინაღობათა გადალახვაში ოლიმპიურ შეჯიბრებაზე.

• • •

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ყველა, 11 ფინალური შეჯიბრების მონაწილეა ერთადერთი ქვეყანა — ბრაზილია. მხოლოდ ამ ქვეყნის გუნდი გახდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი — 1958, 1962 და 1970 წლებში.

რედაქტორი Ა. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ. 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ. ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 ~~11~~ 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 07657